ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5976394

ნომერი: AR1900660

თარიღი : 09.06.2022

გაცემის თარიღი : 09.06.2022

გაცნობის თარიღი : 21.06.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ფანიაშვილი პ/ნ 01011075163
- ქ.თბილისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 09 ივნისის AR1900660 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პუშკინის ქ.N15-ის მიმდებარედ ჩამოსასხმელი სანაყინის აპარატის განთავსების საკითხს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისი №61-88 დადგენილების მიხედვით, ქალაქ თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე, გამზირებზე, ქუჩებზე, თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის და რეგულირების ზონის საზღვრებში, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე აიკრძალა გარე ვაჭრობის განხორციელება. ამავე დადგენილების მიხედვით, დროებითი შენობანაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია, გარდა დანართი 1 რუკით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მობილურ გარე ვაჭრობის ობიექტებზე, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 1,1 მეტრს, სიგრძე 0,8 მეტრს და სიგანე 0,6 მეტრს. მათი განთავსება ნებადართულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, გარდა დანართი 2 რუკით გათვალისწინებული ტერიტორიებისა. განსახილველი ტერიტორია ხვდება როგორც დანართი 1, ასევე დანართი 2 რუკით გათვალისწინებულ არეალში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულა შესაძლებლობას დაკმაყოფილოს თქვენი განცხადებება და გასცეს წერილობითი დასტური.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.